დანარჩენს სეზონი გვიჩვენებს

გაზაფხულის დადგომა ყველას უხარია, მაგრამ ფეხბურთის ქომაგებისთვის მას მაინც ყველაზე მეტი სიხარული და მღელვარება მოაქვს. ამისი კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ გუშინწინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალქში თბილისის "დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს შორის გამართული შეხვედრა – წლევანდელი სეზონის პირველი მატჩი ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონზე. ვინც ამ შეხვედრას ესწრებოდა, ფეხბურთის გულშემატკივრებსაც და სპეციალისტებსაც პირველ ყოვლისა აინტერესებდათ რა დონეს მიაღწიეს მატჩის მონაწილეებმა ახალი საფეხბურთო სეზონისთვის მზადებაში.

ამ მხრივ ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა "დინამომ" კარგი ფიზიკური მომზადება, დაცვითი თუ საიერიშო ფუნქციების შესრულების მაღალი დონე. ერთი სიტყვით, ოფიციალური ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე "დინამომ" მაყურებელს უჩვენა, რომ სამზადისს მისთვის უქმად არ ჩაუვლია.

და მაინც, ამ მატჩში გამარჯვება, მართალია, მინიმალური ანგარიშით (1:0), საბჭოთა ნაკრებს დარჩა. ვინც სტადიონზე ან ტელეეკრანზე ადევნებდა თვალს შეხვედრის მსვლელობას, მან იცის, რომ გოლი "დინამოს" კარში სრულიად მარტივ სიტუაციაში მატჩის მე–16 წუთზე გავიდა. გოლი ეკუთვნის ფიოდოროვს, რომელმაც ბურთი მეტად უხერხულ მდგომარეობაში მიიღო, თავით დაარტყა და კარისკენ მისცა მიმართულება. მატჩის მანძილზე მასპინძლებს ბევრჯერ შეექმნათ გოლის გატანისთვის შესაფერისი სიტუაცია, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენეს. რა არის ეს – დინამოელთა ძველი სენი თუ უიღბლობა? ალბათ ერთიც და მეორეც. გუცაევი, მაჩაიძე, კოპალეიშვილი, განსაკუთრებით კი შენგელია ერთთავად კარის აღების ცდაში იყვნენ. აშკარად იგრძნობოდა წყურვილი გოლის გატანისა, მაგრამ ნაკრების დაცვამ, რომელსაც წინა ხაზის მოთამაშეებიც ედგნენ მხარში, დინამოელთა ყველა იერიშის მოგერიება შეძლო.

არ შეიძლება არ გამოვყოთ დინამოელთა გუნდის ახალი წევრი, უდავოდ პერსპექტიული ახალგაზრდა მოთამაშე ებანოიძე, რომელიც ამ მატჩში საიერიშო თუ დაცვითი ფუნქციების შესრულებისას მართლაც რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

თუ დინამოელებმა დაამტკიცეს, რომ სეზონისთვის ურიგოდ არ მომზადებულან, ნაკრებზე ამ მატჩის მიხედვით, რაიმე გარკვეულის თქმა ძნელია, თბილისში გუნდი კიეველთა გარეშე ჩამოვიდა. ასტაპოვსკისა და ყიფიანს ავადმყოფობის გამო არ უთამაშიათ. ყიფიანი მძიმედ არ არის დაშავებული. იგი სულ მალე დაუბრუნდება "დინამოსაც" და ნაკრებსაც. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ მატჩში იგი ორივე გუნდისთვის ძალზე საჭირო იყო.

ნაკრების ძველი კაპიტნის მურთაზ ხურცილავას საზეიმო გაცილება რომ არა, სეზონისთვის მზადების პერიოდში დაშავებულ ლოვჩევს ორივე ტაიმის თამაში მოუხდებოდა. მაყურებელმა მინდორზე კვლავ იხილა ხურცილავა, რომელმაც პირველი ტაიმი მოწოდების სიმაღლეზე ჩაატარა და შესვენებისას კაპიტნის სამკლავე საზეიმო ვითარებაში გადასცა ნაკრების ახალ მესაჭეს. მოსკოვის სპარტაკელ ე. ლოვჩევს. ძველი მესაჭე კი გულთბილად გააცილეს სტადიონზე შეკრებილებმა. საბჭოთა ფეხბურთში მოპოვებული სახელისა და დიდი დამსახურებისთვის მ. ხურცილავას გადაეცა საკავშირო და საქართველოს სპორტკომიტეტების, საქართველოს ალკკ ცეტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები და საჩუქრები. ამიერიდან სახელოვანი ფეხბურთელი ზუგდიდის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელად იმუშავებს, იმედი გვაქვს, რომ ხურცილავა ახალ სარბიელზეც ისახელებს თავს და "დინამოს" ცვლის აღზრდისთვისაც მონდომებით იზრუნებს.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

"დინამო": გოგია, ხიზანიშვილ, ქორიძე, კანთელაძე, ჭილაია, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე (ჩელებაძე 46–ე წუთი) გუცაევი, შენგელია, ებანოიძე.

სსრ კავშირის ნაკრები: დეგტიარევი, კრუგლოვი, ხურცილავა (ლოვჩევი, 46 წუთი), ხინჩაგაშვილი, ოლშანსკი, ნოვოკოვი, მინაევი, მაქსიმენკოვი, ტარხანოვი, ფიოდოროვი, ნ. პეტროსიანი.

მატჩის წინ ნაკრების უფროს მწვრთნელს ნ. სიმონიანს ჰკითხეს, რატომ არ მიიწვია გუნდის შემადგენლობაში გუცაევი და მანუჩარ მაჩაიძე მწვრთნელმა უპასუხა: ეს ფეხბურთელები უდავოდ მაღალი კლასის ოსტატები არიან, მაგრამ ჯერჯერობით მათს თამაშს სტაბილურობა აკლიაო, ბუნებრივია, ზოგი დაეთანხმება ამგვარ შეფასებაში, ზოგი – არა. ყველაზე სწორ პასუხს კი ამ შეკითხვაზე წლევანდელი საფეხბურთო სეზონი გაგვცემს.

ჯ. ენუქიძე

"ლელო" 17 მარტი 1977 წ.